ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29. 2923186001**
თარიღი:**05/07/2023**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ'' პუნქტის ,,დ.დ'' ქვეპუნქტის და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 3 ივლისის N N28-282318455 წერილის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს, რომ ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩა N117-ში მდებარე (ს/კ N33.09.45.945) შენობის პირველ სართულზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 67.00 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით, 6 (ექვსი) თვის ვადით გადასცეს შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"-ს (ს/კ 412670097).

მუხლი 2. 6 (ექვსი) თვის ქირავნობის გადასახადი განისაზღვროს 1005 (ათას ხუთი) ლარით, ხოლო ყოველთვიური ქირა 167.50 (ას სამოცდაშვიდი ლარი და 50 თეთრი) ლარის ოდენობით.

მუხლი 3. განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. #7) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ

დავითი გოგბერაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM